ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3740,1 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2019 წლის პროექტი
04 00	განათლება	3,740.1
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,500.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.4
04 03	განათლების ღონისძიებები	16.1
04 04	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	622.7
04 05	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	600.9

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2 500,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ – სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი		
	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 21 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1250-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 100</p>		



პროგრამის აღწერა და მიზანი	აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:
	ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;
	ბაგა-ბაღებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;
	ბაგა-ბაღებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
	ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;
	ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;
	ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.
	ა(ა)იპ – სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა
მოსალოდნელი შედეგი	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარიული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ – სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1250-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		0,4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის განათლების ობიექტები, რომელთა ინფრასტრუქტურას არ ჩატარებია კაპიტალური რემონტი, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია.კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შენობის რეაბილიტაცია-რემონტი შემდეგ ლოკაციაზე: აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში განათლების ობიექტის (საბავშვო ბაღი)რეაბილიტაცია	
მოსალოდნელი შედეგი		ლანჩუთის მუნიციპალიტეტის აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის შენობის სახურავი სრულად იქნება რეაბილიტირებული, რეაბილიტირებული შენობა დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ შენობით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული, შენობის რეაბილიტაცია დაიწყო 2018 წელს. საერთო ჯამში 2019 წელს რეაბილიტირებული შენობით ისარგებლებს 90-მდე ადგილობრივი მცხოვრები, მათ შორის 30-მდე აღსაზრდელი და 60 მასწავლებელი და მშობელი.	

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	-----------------------	------------------------



	04 03	16.1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას;</p> <p>საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას;</p> <p>ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოთი წახალისებას;</p> <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლისმედალოსანთა წახალისება ფულადი ჯილდოთი;</p> <p>სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას.</p>	
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ტრანსპორტით უზრუნველყოფა, წარმატებული მოსწავლეებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება.	

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		622,7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის საჯარო სკოლები, სადაც მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწესრიგება შემდეგ ლოკაციებზე: სოფ ნინოშვილის საჯარო სკოლა, სოფ ჩიბათის საჯარო სკოლის ჭალის კორპუსი.</p> <p>ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ნინოშვილის საჯარო სკოლა</p> <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩიბათის საჯარო სკოლის ჭალის კორპუსი</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების რეაბილიტაცია</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ნინოშვილის საჯარო სკოლა და სოფ. ჩიბათის საჯარო სკოლის ჭალის კორპუსის სველი წერტილები იქნება კეთილმოწყობილი, უსაფრთხო და კომფორტული. 2019 წელს რეაბილიტირებული სველი წერტილებით ისარგებლებს 110 მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი. აქედან, ჩიბათის საჯარო სკოლის ჭალის კორპუსი 32 და სოფ. ნინოშვილის 78 მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	04 05		600,9
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		



პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (დელეგირებული უფლებამოსილებით)
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეების ტრანსპორტით ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება 3405 მოსწავლის დახმარება

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3970,4 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2019 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3,970.4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2,815.6
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	939.1
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	458.9
05 01 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	53.0
05 01 01 03	სტადიონის ფუნქციონირება	150.0
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	103.0
05 01 01 05	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	174.2
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	17.1
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	1,859.4
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,146.0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,093.4
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	790.0
05 02 01 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	303.4
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	12.7
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		458.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტული ცენტრი აერთიანებს 11 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (200 ბავშვი); თვისუფალი ჭიდაობა (28 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (20 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (35 ბავშვი); რაგბი (45 ბავშვი); ცურვა (36 ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (24 ბავშვი); კარატე (60 ბავშვი); ჭადრაკი (37 ბავშვი); კალათბურთი (40 ბავშვი) და გოგონათა ფეხბურთი (25 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 550 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 103 ადამიანი, მათ შორის, 60 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 43 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადაიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთ.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტადიონის ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	05 01 01 03	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ შპს „ლანჩხუთს“, რომელიც შემდგომ ახორციელებს სტადიონის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება შპს-ს თანამშრომელთა ხელფასების, სტადიონის კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, ბიუჯეტთან ანგარიშწორებას(ქონების გადასახადი) და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელ ხარჯების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი მატჩებისათვის	
მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალთა სპორტის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	05 01 01 04	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის ქალთა საფეხბურთო კლუბის „ლანჩხუთის ლანჩხუთის“ დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ შპს „ლანჩხუთის ლანჩხუთს“, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და შპს-ს ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს. პროგრამის მიზანია ქალთა საფეხბურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე	
მოსალოდნელი შედეგი		ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავება	



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 05		174,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტული სკოლაში ფუნქციონირებს ფეხბურთის 6 ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია და ვარჯიშობს 180 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ. სკოლაში დასაქმებულია ჯამში 32 ადამიანი, მათ შორის, 26 ტექნიკური და 6 ადმინისტრაციული პერსონალი და 15 მწვრთნელი. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. 		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია ფეხბურთის ჯგუფებით სარგებლობა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 02		17.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვანელების წახალისება ფულადი ჯილდოთი;</p> <p>ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;</p> <p>პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ლანჩხუთის მინიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიება, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა; ფულადი და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულია ახალგაზრდა წარმატებული		



სპორტსმენები, მათი მწვრთნელები და ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 03		1859.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის სპორტის ობიექტები, რომელთა ინფრასტრუქტურას არ ჩატარებია კაპიტალური რემონტი, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული შენობების კაპიტალური შეკეთება-რეაბილიტაცია. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შენობის კაპიტალური რემონტი შემდეგ ლოკაციაზე:</p> <p>საჭადრაკო სკოლის სრული რეაბილიტაცია;</p> <p>ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია;</p> <p>გვიმბალაურის საჭიდაო დარბაზის სახურავისა და გარე ფასადის შეკეთების სამუშაოები;</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჯორდანია ქუჩის მიმდებარედ არსებული სტადიონის რეაბილიტაცია.</p>	
მოსალოდნელი შედეგი		<p>ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შენობა იქნება სრულად რეაბილიტირებული, რეაბილიტირებული შენობა დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ შენობით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კონფორტული, შენობის რეაბილიტაცია დაიწყო 2018 წელს. საერთო ჯამში 2019 წელს რეაბილიტირებული შენობით ისარგებლებს 250-მდე ადგილობრივი მცხოვრები, მათ შორის 50 მოსწავლე და 200 მასწავლებელი და მშობელი.</p> <p>ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჭადრაკო სკოლის შენობა იქნება სრულად რეაბილიტირებული, რეაბილიტირებული შენობა დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ შენობით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კონფორტული, შენობის რეაბილიტაცია დაიწყო 2018 წელს. საერთო ჯამში 2019 წელს რეაბილიტირებული შენობით ისარგებლებს 150-მდე ადგილობრივი მცხოვრები, მათ შორის 50 მოსწავლე და 100 მასწავლებელი და მშობელი.</p>	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		790,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 5 მუნიციპალური მუზეუმი, 18 ბიბლიოთეკა და ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი.</p> <p>კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 400 აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 100-მდე მონაწილე. დაფინანსება 315,8 ათასი ლარი.</p> <p>მუნიციპალურ მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 19000 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 2000-ს. დაფინანსება 138,3 ათასი ლარი.</p> <p>მუნიციპალიტეტის 18 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 112000 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2000 მოსახლე. დაფინანსება 110,6 ათასი ლარი.</p>	



	<p>მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი და მასთან არსებული თოჯინების თეატრი. 2018 წელს თეატრში გაიმართა 1 დრამატული სპექტაკლის პრემიერა, აღდგა და განახლდა წინა წლებში დადგმული 3 სპექტაკლი. თოჯინების თეატრში დაიდგა 2 ახალი წამოდგენა, თოჯინების თეატრი ასევე ახორციელებს გასვლით წარმოდგენებს. დაფინანსება 96,1 ათასი ლარი.</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია. შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. თეატრებში იდგმება სპექტაკლები. ბიბლიოთეკები და მუზეუმები საკუთარი მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა)</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		303,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 2 და დაწყებითი სამხატვრო განათლების 1 სკოლა.		
	სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის და სხვა მიმართულებები. სამუსიკო სკოლებში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 319 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 39 თანამშრომელს. დაფინანსება 177.7 ათასი ლარი.		
	სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გობლენს, ვიტრაჟს და ხატწერას. სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 150 ბავშვი. სკოლაში სულ დასაქმებული 18 თანამშრომელი, მათ შორის, 15 პედაგოგი. სკოლის დაფინანსება 77,6 ათასი ლარი.		
	პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ა(ა)იპ – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების მიმდინარე ხარჯები (ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი) 33.6 ათასი ლარი.		
სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე; ფასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.			
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და სამხატვრო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამხატვრო და სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	-----------------------	------------------------



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 03		9,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <ul style="list-style-type: none"> – შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში; – დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; – შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში; – ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით; <p>ქვეპროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	შშმ პირების საზოგადოებაში ჩართვის ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდულ პოლიტიკასთან		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 913,1 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2019 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	913.1



06 01	ჯანმრთელობის დაცვა	328.1
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	142.8
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	185.3
06 02	სოციალური დაცვა	585.1
06 02 01	ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი	36.8
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	28.0
06 02 03	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	90.0
06 02 04	ცენტრ „ივენანას“ თანადაფინანსების პროგრამა"	12.5
06 02 05	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	7.6
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	90.0
02 06 07	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	12.2
02 06 08	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	53.0
02 06 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	67.0
02 06 10	„გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა"	36.0
02 06 11	100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა	1.5
02 06 12	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა	40.0
02 06 13	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	2.5
02 06 14	ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა	33.0
02 06 15	მედიკამენტის შეძენაზე დახმარების პროგრამა	65.0
02 06 16	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	10.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		142,8
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ – ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე		



პროგრამის აღწერა	<p>დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2. იმუნიზაცია. 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა ასევე განხორციელებს C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე, ტუბერკულოზზე გამოკვლევას სკრინინგული მეთოდებით
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; ტუბერკულოზის, აივ-ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის ხელშეწყობა მკურნალობაში ჩართვის მიზნით
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 02		185.3
პროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება აკეთის, აცანის, შუხუთის, ნიგოთის ტერიტორიის ერთეულებში არსებული საექიმო ამბულატორიების რეაბილიტაცია. სუფსის ტერიტორიულ ერთეულში ახალი საექიმო ამბულატორიის მშენებლობა და ამ ამბულატორიის მშენებლობისთვის ტერიტორიის მომზადება		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია სოფლის მოსახლეობის ხელშეწყობა, გარემონტებული საექიმო უბნები ხელს შეუწყობს მოსახლეობას შეექმნას უსაფრთხო გარემო,		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბიკარბონატული ჰემოდალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		36,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად კვირაში სამჯერ, 2018 წლის მაჩვენებლით პროგრამით სარგებლობდა 20 ბენეფიციარი (144 ლარი თითო ბენეფიციარზე).		
მოსალოდნელი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების		



შედეგი	ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.		
პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		28,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 25 ლარს. პროგრამით ისარგებლებს ის ოჯახები რომლებიც არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები. პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. კერძოდ, პროგრამით შესაძლებელი იქნება 30 მრავალშვილიანი ოჯახის ფინანსური დახმარება		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		90,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარების, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა და სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. ასევე ბენეფიციარებისათვის, რომელთაც ესაჭიროება: გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალურ-ამბულატორიული მომსახურეობა და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევები, მათ შორის „ც“ ჰეპატიტით დაავადებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების დიაგნოსტიკური კვლევების ჩასატარებლად მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება 50%-ით, კონსერვატიული მკურნალობა-სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება 50%-მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა. ასევე შეჭირვებული მოქალაქეების გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება 50%-მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. „ც“ ჰეპატიტის კვლევებზე ომის ვეტერანები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან.</p> <p>შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორცაა, სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო კვლევების თანადაფინანსება, ასევე არაპროგრამული რეფერალური მომსახურეობა უნაზღაურებელი ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) – რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც.</p> <p>2018 წლის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 226 ბენეფიციარმა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	სარეაბილიტაციო ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		12,5



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში შემუშავდა და მუშაობს სიდატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ბავშვებისათვის "სოციალური რეაბილიტაციისა ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ამ მიზნით დაფუძნებულია არასამთავრობო ორგანიზაცია, სარეაბილიტაციო ცენტრი "იავნანა". პროგრამას ერთი მხრივ აფინანსებს ცენტრალური ბიუჯეტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვაუჩერული პრინციპით. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტრო-ენერჯის, ბუნებრივი აირის და წყლის გადასახადები, დაფინანსდება ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველთვიური მოხმარების საგნების ღირებულება. ცენტრში ირიცხება 24 მზრუნველობამოკლებული ბავშვი.
მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		7,6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტირება სასულიერო გიმნაზიამდე და უკან, ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს სამგზავრო ტრანსპორტი. აღნიშნული პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა (სასულიერო გიმნაზია. სულ 44 მოსწავლე).		
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეების ტრანსპორტით ხელშეწყობა. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას. პროგრამით შესაძლებელი იქნება 44 მოსწავლის დახმარება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		90,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართა კვირაში ორჯერ საკვების მიწოდება ოჯახში.		
მოსალოდნელი შედეგი	უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება პროგრამით შესაძლებელი იქნება 105 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა		

პროგრამის დასახელება	კოდი	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 07		12,2



